სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *მაია შომიაშვილის* შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	13	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობა	4	5
ქულათა ჯამი	92	100

ვასილ მშვენიერაძე

თარიღი: 10.12.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ვასილ მშვენიერაძე

2024 წლის 10 დეკემბერი, ქალაქი თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - „საბჭო“) 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **მაია შოშიაშვილის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. **პროცედურის შესახებ:**

1.1. „საბჭოს“ 2024 წლის 17 ოქტომბრის №1/115 განკარგულებით, გამოცხადდა კონკურსი რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში არსებულ მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობებზე (38 ვაკანსიაზე).

1.2. „საბჭოს“ 2024 წლის 15 ნოემბრის №1/119 განკარგულებით, მითითებულ კონკურსში კანდიდატად დარეგისტრირდა - **მაია შოშიაშვილი** (შემდგომში - „კანდიდატი“).

1.3. „საბჭოს“ შესაბამისმა სამსახურმა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია „კანდიდატის“ შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

1.4. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, „საბჭომ“ ჩაატარა „კანდიდატის“ საჯარო მოსმენა.

1.5. საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, „კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატი, შევაფასე - „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35^1 მუხლის მე-15 და მე-17 პუნქტების შესაბამისად.

კეთილსინდისიერების კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-15 პუნქტით.

კომპეტენტურობის კრიტერიუმით სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატი ფასდება ქულებით, 35[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად:

„ა“ სამართლის ნორმების ცოდნა;

„ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;

„დ“ წერის უნარი;

„ე“ ზეპირი კომუნიკაციის უნარი;

„ზ“ პროფესიული თვისებები;

„თ“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;

„ი“ პროფესიული აქტივობა.

აღნიშნული მახასიათებლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, თითოეული ამ მახასიათებლის მიხედვით მოსაპოვებელ ქულათა მაქსიმალური რაოდენობები ერთმანეთისგან განსხვავდება და შემდეგნაირად განისაზღვრება:

„ა“ სამართლის ნორმების ცოდნა – 20 ქულა;

„ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია – 20 ქულა;

„გ“ წერის უნარი – 20 ქულა;

„დ“ ზეპირი კომუნიკაციის უნარი – 15 ქულა;

„ე“ პროფესიული თვისებები (მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში) – 15 ქულა;

„ვ“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა – 5 ქულა;

„ზ“ პროფესიული აქტივობა – 5 ქულა.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

2.1. *„საბჭოს“ შესაბამისი სამსახურის მიერ მოპოვებული ინფორმაცია:*

2.1.1. „კანდიდატი“ 60 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, (მაგისტრთან გათანაბრებული, თსუ 1988 წელი), სპეციალობით მუშაობს 34 წელია, მათ შორის - მოსამართლედ - 25 წელი. კერძოდ:

- 1990 წლის იანვარი - 1993 წლის ნოემბერი, იურისკონსულტი - საწარმო გაერთიანება „აზოტი“ იურიდიული განყოფილება;

- 1994 წლის მარტი - 1999 წლის მაისი, ადვოკატი - საქართველოს ადვოკატთა კოლეგია;

- 1999-2009 წლებში იყო სიღნაღის რაიონული სასამართლოს მოსამართლე (1999-2004 წლებში იყო ამავე სასამართლოს თავმჯდომარე), 2005-2008 წლებში მივლინების საფუძველზე მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდა გარდაბნის რაიონულ სასამართლოში, ხოლო 2008-2009 წლებში მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდა თბილისის საქალაქო სასამართლოში;

- 2009 წლის ოქტომბრიდან - დეკემბრამდე, იყო თელავის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და მივლინების საფუძველზე მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდა თბილისის საქალაქო სასამართლოში;

- 2009-2012 წლებში იყო სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და მივლინების საფუძველზე მოსამართლის უფლებამოსილებას ახორციელებდა ჯერ თბილისის საქალაქო სასამართლოში, შემდგომ საგარეჯოს რაიონულ სასამართლოში;

- 2012-2018 წლებში იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე;

- 2018-2020 წლებში იყო რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე;

- 2020 წლიდან - დღემდე, არის რუსთავის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლე გარდაბნის მუნიციპალიტეტში.

2.1.2. „კანდიდატის“ შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები და კითხვარები, რომლებშიც რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე. გამოარჩევენ კანდიდატის თავდაჭერილობას, კოლეგიალურობას კეთილსინდისიერებას, მის მაღალ კომპეტენციას და მოსამართლის სტატუსისათვის შესაფერის სხვა აუცილებელ თვისებებს. გამოკითხული რესპონდენტები კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას იცნობენ კარგად. მათი აზრით, კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. კომპეტენტურობის კრიტერიუმით რესპონდენტები კანდიდატს აფასებენ კარგად/ძალიან კარგად.

2.1.3. „კანდიდატთან“ დაკავშირებით ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია მის სამოსამართლო საქმიანობასთან დაკავშირებით. „კანდიდატი“ სარგებლობს სოციალური ქსელებით. „კანდიდატი“ არ ყოფილა პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი.

2.1.4. „კანდიდატს“ სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება. არ აქვს მიმდინარე სესხი, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. კანდიდატის სახელზე რეგისტრირებულია უძრავი ქონება: ბინა 64.06კვ.მ, ქ. რუსთავი. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციასთან. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში არ არის რეგისტრირებული.

2.1.5. შესაფასებელ პერიოდში „კანდიდატს“ არ უფიქსირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი.

2.1.6. საქართველოს საერთო სასამართლოებში წარმოებულ დავებში „კანდიდატის“ მხარედ მონაწილეობის თაობაზე ინფორმაცია ელექტრონული საქმისწარმოების საძიებო სისტემაში ვერ იქნა მოძიებული. „კანდიდატი“ დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა. „კანდიდატის“ მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული.

2.1.7. „კანდიდატს“ საქმის განხილვის საპროცესო ვადები დაცული აქვს საქმეთა 100% შემთხვევაში, ასევე, საქმეთა 100% შემთხვევაში დაცული აქვს გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადები. მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები, ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრების შემდეგ, უცვლელი დარჩა საქმეთა 95,6% შემთხვევაში. კანდიდატს საანგარიშო პერიოდში (993 დღეში) დასრულებული აქვს 3854 საქმე (დღეში საშუალოდ 3,9 საქმე).

2.1.8. შეფასების პროცესში შესწავლილი იქნა „კანდიდატის“ მიერ განხილული, შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული 5 საქმე: რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 17 თებერვლის განაჩენი, სისხლის სამართლის საქმე №1-672-21; რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 23 ივნისის განაჩენი, სისხლის სამართლის საქმე №1-517-21; რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 17 აგვისტოს განაჩენი, სისხლის სამართლის საქმე №1-21-22; რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 13 ოქტომბრის განაჩენი, სისხლის სამართლის საქმე №1-459-21; რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 29 დეკემბრის განაჩენი, სისხლის სამართლის საქმე №1-565-21.

2.1.9. ,,კანდიდატს“ მონაწილეობა აქვს მიღებული რიგ სასწავლო ღონისძიებებში (მაგ: 2022 წლის 29 აპრილი - 1 მაისი, ბორჯომი, სემინარი „ნაფიც მსაჯულთა სასამართლო“; 2022 წლის 16-17 ივლისი, ბორჯომი, საპილოტე სემინარი - „ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა“; 2022 წლის 28-30 ოქტომბერი, ლოპოტა, სემინარი „სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები და მნიშვნელოვანი განმარტებები ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე“; 2024 წლის 11-18 თებერვალი, ქ. ბუდაპეშტი (უნგრეთი), ტრენინგი „ციფრული სახის მტკიცებულებები მოსამართლეებისა და პროკურორებისათვის“ და სხვა).

2.1.10. „კანდიდატს“ 1999 წელს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, საერთო სპეციალიზაციით.

2.1.11. კანდიდატს არ წარმოუდგენია სამართლებრივი პუბლიკაცია და ნაშრომი.

2.1.12. კანდიდატი ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას - ლექტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიღნაღის ფილიალი - 2003-2004 წლები.

2.1.13. „კანდიდატი“ ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

2.2. *კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:*

2.2.1. „კანდიდატის“ საჯარო მოსმენის სრული ვიდეო-ჩანაწერი ყველასათვის ხელმისაწვდომია. მას „საბჭოს“ წევრებმა დაუსვეს ზოგადი ხასიათის შეკითხვები.

2.2.2. „კანდიდატმა“ ისაუბრა საკუთარ მოტივაციაზე, სამოსამართლო საქმიანობის განხორციელებისას მიღებულ პრაქტიკულ გამოცდილებაზე.

3. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

3.1. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ხუთივე მახასიათებლის (სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატისათვის) მოთხოვნებს (თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმფციის გამაქარწყლებელი, სანდო ინფორმაცია):

ა) „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი“;

ბ) „დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა“;

გ) „პიროვნული და პროფესიული ქცევა“;

დ) „პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია“;

ე) „ფინანსური ვალდებულება“.

3.2. „კანდიდატის“ შესახებ დოკუმენტური, ასევე, მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ „კანდიდატი“ კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ხუთივე მახასიათებელს აკმაყოფილებს, შესაბამისად მივიღე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 351 მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დასკვნა: „კანდიდატი“ სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

4. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

4.1. „კანდიდატის“ შესახებ დოკუმენტური, ასევე, მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზიდან გამომდინარე, მივიჩნიე, რომ:

4.1.1. კანდიდატს გააჩნია სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობების სიღრმისეული ცოდნა. ამასთან, „კანდიდატის“ მიერ წარმოდგენილ განაჩენთა შეფასების შედეგად, მიმაჩნია, რომ კანდიდატს სწორად შეუძლია დაინახოს პრობლემის არსი, მოიძიოს და განსახილველ სამართალურთიერთობას ადეკვატურად შეუფარდოს კონკრეტული სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართალი.

4.1.2. „კანდიდატს“ გააჩნია ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი და მოსამართლედ მუშაობის სათანადო პროფესიული გამოცდილებაც. მის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილი განაჩენები დასაბუთებული და დამაჯერებელია. „კანდიდატს“ გააჩნია სამართლებრივი პრობლემების სწორად დანახვის, მისი გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ასპექტების გამოკვეთისა და მართებული გამოსავლის პოვნის უნარი.

4.1.3. „კანდიდატის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დავადგინე, რომ „კანდიდატი“ წერილობით აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს, „კანდიდატის“ მსჯელობა დასაბუთებული და ანალიტიკურია.

4.1.4. „კანდიდატი“ გამართულად მეტყველებს, აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს, ფაქტების ანალიზის საფუძველზე მსჯელობს თანმიმდევრულად და ლოგიკურად, ღიაა და გააჩნია დასმული შეკითხვის არსის სწორად აღქმისა და სხვისი აზრის (მათ შორის - განსხვავებულის) მოთმინებით მოსმენის უნარი.

4.1.5. „კანდიდატი“ პუნქტუალური, გულმოდგინე, შრომისმოყვარე და მიზანდასახულია, აღჭურვილია კარგი მენეჯერული უნარ-ჩვევებით. საქმეს ამზადებს ჯეროვნად და სათანადო პასუხისმგებლობით. მისი ქცევა სასამართლო დარბაზში ასევე არის სათანადო, რის გამოც ის სასამართლო სხდომას წარმართავს კარგად, გადაწყვეტილებასაც იღებს დაუხმარებლად და დამოუკიდებელი აზროვნების საფუძველზე. აქვს სტრესულ სიტუაციაში სწრაფად მუშაობის კარგი უნარი, რის გამოც არის პროდუქტიული და ზედმიწევნით იცავს საპროცესო ვადებს. აღსანიშნავია, საქმეთა განხილვის თაობაზე მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაცია, რომლის თანახმად, „კანდიდატს“ საქმის განხილვის საპროცესო ვადები დაცული აქვს საქმეთა 100% შემთხვევაში, ასევე, საქმეთა 100% შემთხვევაში დაცული აქვს გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადები. მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები, ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრების შემდეგ, უცვლელი დარჩა საქმეთა 95,6% შემთხვევაში. კანდიდატს საანგარიშო პერიოდში (993 დღეში) დასრულებული აქვს 3854 საქმე (დღეში საშუალოდ 3,9 საქმე), რაც ძალიან კარგი შედეგია.

4.1.6. „კანდიდატი“ პროფესიული წვრთნის პროგრამებში ხშირად მონაწილეობს. პროფესიული ზრდის თვალსაზრისით მონაწილეობას იღებს სხვადასხვა შეხვედრებსა და ღონისძიებებში. დაინტერესებულია ახალი ცოდნისა და უნარების შეძენით, ზრუნავს თვითგანვითარებაზე, აქვს შესაბამისი საოფისე კულტურა და შეძენილ ცოდნას წარმატებით იყენებს პრაქტიკაში.

4.1.7. „კანდიდატი“ ხშირად მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში. ამასთან, „კანდიდატი“ ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას.

თითოეულ მახასიათებელში მიღებული შეფასებიდან გამომდინარე, მოსამართლეობის კანდიდატი - მაია შოშიაშვილი კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით უნდა შეფასდეს 92 ქულით.

„ა“ სამართლის ნორმების ცოდნა - 19

„ბ“ სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია - 19

„გ“ წერის უნარი - 18

„დ“ზეპირი კომუნიკაციის უნარი - 13

„ე“ პროფესიული თვისებები (მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში) - 14

„ვ“ აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა - 5

„ზ“ პროფესიული აქტივობა - 4

ვასილ მშვენიერაძე